



ღირსი სერგი რადონეჟელის ხსენების დღეს რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა წმინდა სერგის სამების ლავრაში საღმრთო ლიტურგია აღავლინა



სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 18.07.2023. 2023 წლის 18 ივლისს, რადონეჟელი ილუმენის ღირსი სერგის პატიოსანი ნეშტის მოპოვების (1422 წ.) დღესასწაულზე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ საღმრთო ლიტურგია აღავლინა წმინდა სერგის ლავრის საკათედრო ტაძრის მოედანზე.

საზეიმო ღვთისმსახურება შესრულდა ღირსი სერგი რადონეჟელის განდიდებული ხატის წინაშე. სადღესასწაულო ღამისთევისა და საღმრთო ლიტურგიის შესასრულებლად საკათედრო ტაძრის მოედანზე აშენდა ფიცარნაგი, ხოლო ლავრის მიძინების საკათედრო ტაძრის წინ – ტრაპეზი საფარველის ქვეშ.

ლიტურგიაზე უნმინდესობას თანამსახურებდნენ: მიტროპოლიტი იუბენალი (პოიარკოვი); ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი, ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მმართველი; სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პირველი ვიკარი ქალაქ მოსკოვში; სერგიევ პოსადისა და დიმიტროვსკის ეპისკოპოსი თომა, ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; ზვენიგოროდის ეპისკოპოსი კირილე, მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავართა კრებული.

ღვთისმსახურებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ეპისკოპოსები და მღვდლები: ფილიპოპოლის მიტროპოლიტი ნიფონი, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან; მორავიჩის ეპისკოპოსი ანტონი, სერბეთის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან; არქიმანდრიტი სერაფიმე (შემიატოვსკი), ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვის საპატრიარქო ტახტთან; დეკანოზი დანიელ ანდრეიუკი, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ამერიკაში; არქიმანდრიტი ისაია (ლუკიჩი), სერბეთის რესპუბლიკაში ნეტარი მატრონას მონასტრის წინამძღვარი.

უნმინდეს მეუფეს თანამსახურებდნენ, აგრეთვე: არქიმანდრიტი მაკარი (ვერეტენიკოვი), ეკლესიის ისტორიის დოქტორი, ლავრის მკვიდრი; პროტოპრესვიტერი ვლადიმერ დივაკოვი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მდივანი ქალაქ მოსკოვში; არქიმანდრიტი იერემია (სოლოვიევი), ლავრის მკვიდრი; დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი; არქიმანდრიტი იონა (სვეტნიკი), როვენის ეპარქიის კლირიკოსი; დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე; არქიმანდრიტი ალექსი (ტურიკოვი), უნმინდესი პატრიარქის კირილეს პირადი მდივანი; არქიმანდრიტი პავლე (კრივონოგოვი), სავინო-სტოროოჟევის სტავროპიგიული მამათა მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; ილუმენი ილარიონი (გოიუკი), ლავრის მკვიდრი; მღვდელმონაზონი ნიკანდრო (პილიშინი), მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; მღვდელი ვასილი ლოსევი, მოსკოვის მიტროპოლიის იურიდიული სამსახურის უფროსი; წმინდა სერგის სამების ლავრისა და სავანის მეტოქიონების სასულიერო ხარისხის მქონე ბინადრები; ქალაქ მოსკოვის სასულიერო პირები.

წირვას ესწრებოდნენ: რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილე ა.იუ. კუზნეცოვა; რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, რლდპ-ის ფრაქციის ხელმძღვანელი რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროში, სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ლ.ე. სლუცკი; მოსკოვის საოლქო სათათბიროს თავმჯდომარე ი.იუ. ბრინცალოვი; უფროსი ვიცე პრეზიდენტი, ПАО «ГМК "Норильский никель"»-ის ფინანსური დირექტორი ს.გ. მალიშევი; მოსკოვის რეგიონის სერგიევ პოსადის საქალაქო ოლქის ხელმძღვანელი დ.ა. აკულოვი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხატვრული წარმოების სანარმოს „სოფრინოს“ გენერალური დირექტორი ა.ვ. პოტიომკინი.

წირვაზე ლოცულობდნენ მონასტრებისა და ბერმონაზვნობის სინოდალური განყოფილების

თავმჯდომარის მოადგილე, ზაჩატიევსკის სტავროპიგიული დედათა მონასტრის ილუმენია იულინა (კალედა), სტავროპიგიული მონასტრების ილუმენიები, მონაზვნები და დღესასწაულზე ლავრაში ჩასული უამრავი მომლოცველი.

ლიტურგიული საგალობლები შეასრულა წმინდა სერგის სამების ლავრისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის გაერთიანებულმა გუნდმა მღვდელმონაზონ ნესტორის (ვოლკოვი) ხელმძღვანელობით.

ტელეარხებზე «Союз», «Спас», ასევე, მოსკოვის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ვებგვერდზე [атриархия.ru](http://atriархия.ru) წარმოებდა საპატრიარქო ლიტურგიის პირდაპირი ტრანსლაცია. წმინდა სერგის სამების მონასტერში მისული მრავალი მომლოცველისთვის მაუწყებლობა გადაიციმოდა დიდ ეკრანებზე, რომლებიც დამონტაჟდა ლავრის საკათედრო ტაძრისა და კრასნოგორსკის მოედნებზე.

ზიარების წინ ქადაგება წაოთქვა ლავრის მკვიდრმა ილუმენმა ფილიპემ (ელშინი).

ლიტურგიის დასრულების შემდეგ უწმიდესმა პატრიარქმა კირილემ, წმიდა სინოდის წევრებმა და დღესასწაულზე ლავრაში მისულმა იერარქებმა რუსეთის მინის ილუმენს პარაკლისი აღუვლინეს.

ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე, სერგიევ პოსადისა და დიმიტროვის ეპისკოპოსი თომა მიესალმა უწმიდეს მეუფეს და ღირსი სერგის ხატი უსახსოვრა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა მორწმუნეებს **პირველიერარქიული სიტყვით** მიმართა.

შემდეგ უწმინდესი პატრიარქი კირილე მონასტრის სამების საკათედრო ტაძრისკენ გაემართა, სადაც თაყვანი სცა ღირსი სერგის პატიოსან ნეშტს. უწმინდესმა მეუფემ თაყვანი სცა, ასევე, ნიკონის ეკვდერსა და სერაპიონის პალატაში განთავსებულ სინმინდეებს.

უწმინდესი მეუფე მოკლედ გაესაუბრა ამ დღეებში სერგიევ პოსადში მიმდინარე საერთაშორისო ყრილობის, „მართლმადიდებელი ახალგაზრდობის თანამეგობრობის“, მონაწილეებს.

ლავრის საპატრიარქო პალატების სატახტო დარბაზში უწმინდესმა პატრიარქმა საეკლესიო ჯილდოები გადასცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრებს, რომლებმაც ამ დღეებში თავიანთი სამახსოვრო თარიღები აღნიშნეს.

ტრადიციულად, სადღესასწაულო სამღვდელთმთავრო მსახურებები ღირსი სერგი რადონეჟელის ხსენების დღეს აღესრულა სერგის წმინდა სამების ლავრის ტაძრებში და მოსკოვის სასულიერო სკოლებში.

სერგის ტრაპეზის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღავლინა კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტმა პავლემ, მოსკოვის მიტროპოლიის საპატრიარქო ადგილმონაცვლემ; პოკროვის აკადემიურ ტაძარში – მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტმა ბენიამინმა, სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსმა; ღირსი იოანე კიბისაღმწერელის ტაძარში – ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ; ჩერნიგოვის სკიტში – ტომსკის და ასინოვის მიტროპოლიტმა როსტისლავმა.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/90534/>